ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 171
(მომსახურების შესყიდვა)

ქალაქი ფოთი **,,24 "**ოქტომბერი 2019 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები
1.1 ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი (შემდეგში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმის თემურ აფხაზავას (შემდეგში ,,მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანების ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმის განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ,,ხელშეკრულება").

2. ხელშეკრულების საგანი
2.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება: სტუმრების კვებით მომსახურების შესყიდვა.
2.2 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.
2.3 შესყიდვის კატეგორია: 55300000-რესტორნებისა და კვების საწარმოების მომსახურეობები.
კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 55330000 - კაფეტერიის/სასადილოს მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
3.2 დაფინანსების წყარო: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და ფორმა
4.1 მომსახურების გაწევის ვადა: 2019 წლის 24 ოქტომბერი.
4.2 მომსახურების გაწევის ადგილი : ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 6 .
4.3 მომსახურების გაწევის ფორმა: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების (გადარიცხვა) ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ლარი.
5.2 ანგარისწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესასაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში) გამოწერისა და გაწეული მომსახურების შესაბამისად, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მიღება - ჩაბარების წესი
6.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ, უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, რომელიც ხელს აწერს ქალაქ ფოთის მუნციპალიტეტის სახელით დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებსა და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში, მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერს სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.
6.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა
7.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია:**
8.1.1 გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების მოცულობისა და მოწოდების ვადების ხელშეკრულების

მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.1.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან ლორია.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 უზრუნველყოს გასაწევი მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.3.1 უზრუნველყოს სტუმრების კვებით მომსახურება ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

8.3.2 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

9.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ის ოდენობით;

9.3 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) პირგასამტეხლო განისაზღვრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

11. სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.2 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის წერილობითი ურთიერთობა ხორციელდება, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით, მათ შორის, მხარეთა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი''

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
ს/კ 215138143,
მის: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12.

Gocha Kurdgelia Digitally signed by Gocha Kurdgelia Date: 2019.10.24 17:39:19 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია

,,მიმწოდებელი''

ინდივიდუალური მეწარმე
,,თემურ აფხაზავა“
ს/კ N 42001003153
იურ.მის: ქ. ფოთი, კონსტიტუციის ქუჩა, N116
ფაქტ.მის: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N6
რესტორანი,,ბრისტოლი"
სს „თი ბი სი ბანკი“, ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE11TB7990445063600034

Temur Apkhazava Digitally signed by Temur Apkhazava Date: 2019.10.24 18:30:22 +04'00'

ინდივიდუალური მეწარმე
,,თემურ აფხაზავა“

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი **,,24"** ოქტომბერი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ ინდივიდუალურ მეწარმე თემურ აფხაზავასთან არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში.

Gocha Kurdgelia

Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.10.24 17:40:06 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია